სახელმწიფო
ინსპექტორის
სამსახური

საარჩევნო პროცესის დროს პერსონალური მონაცემების დაცვა

აღნიშნული საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტის მიზანია საარჩევნო პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვა და ამომრჩეველთა მონაცემების კანონდარღვევით დამუშავების პრევენცია.

რა მონაცემების დამუშავებაა დაშვებული კანონმდებლობით?

საარჩევნო კანონმდებლობით არჩევნებში მონაწილე სუბიექტები ამომრჩევლის შესახებ სხვადასხვა პერსონალურ მონაცემს ამუშავებენ.

პერსონალური მონაცემების დამუშავება არის მონაცემთა მიმართ შესრულებული სხვადასხვა მოქმედება - შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, გამჟღავნება, გადაცემა, გავრცელება, სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომა, დაჯგუფება, კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

საარჩევნო ადმინისტრაცია - ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაცია ამუშავებს შემდეგ ინფორმაციას - ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, მისამართს, პირად ნომერს, ფოტოსურათს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს.

სპეციალური საჭიროებისას, კერძოდ, როცა ამომრჩეველმა ხმა უნდა მისცეს საარჩევნო უბნისაგან განსხვავებულ ადგილზე, საარჩევნო ადმინისტრაცია დამატებით ამუშავებს ინფორმაციას ამომრჩევლის საკონსულო აღრიცხვის თაობაზე და „განსაკუთრებული კატეგორიის“ მონაცემებს - ინფორმაციას ამომრჩევლის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისი პატიმრობაში ყოფნის შესახებ.

არჩევნების გამჭვირვალობის მიზნით, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გარკვეული ნაწილი თავსდება საჯაროდ - ცესკოს ვებგვერდზე, გადაეცემათ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს (პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს), საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს. ასევე, იგი თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრება საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში.

საარჩევნო სუბიექტები - პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა საარჩევნო სუბიექტებს უფლება აქვთ მიიღონ ცესკოში დაცული ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ნაწილი. ისინი უფლებამოსილნი არიან სხვადასხვა ფორმით (მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის, ტელეფონის საშუალებით დაკავშირების ან/და ე.წ. „კარდაკარ სიარულის“ გზით) განახორციელონ ამომრჩევლის აგიტაცია და ამ მიზნით მოიპოვონ და გამოიყენონ ამომრჩევლის შესახებ ინფორმაცია. ამ პროცესში ისინი ამუშავებენ ამომრჩეველთა მონაცემებს, მათ შორის ინფორმაციას მხარდამჭერთა პოლიტიკური შეხედულების შესახებ.

სადამკვირვებლო ორგანიზაციები - სადამკვირვებლო ორგანიზაციები ამუშავებენ მონაცემებს საარჩევნო პროცესზე დაკვირვების მიზნით. სადამკვირვებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ გადაამოწმონ საარჩევნო კომისიების დოკუმენტები, ჟურნალები, სადაც პერსონალური მონაცემებიც არის თავმოყრილი. ასევე, მათ შეიძლება გადაეცეთ ამომრჩეველთა სიის საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული ვერსია.

რა ვალდებულებები აქვთ საარჩევნო სუბიექტებს?

ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, საარჩევნო სუბიექტები ვალდებულნი არიან:

- დარწმუნდნენ, რომ მონაცემთა დამუშავება არის კანონიერი და სახეზეა მონაცემთა დამუშავების შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი;
- აღრიცხონ მონაცემების მოპოვების წყარო;
- გადაამოწმონ მონაცემების სისწორე;
- განსაზღვრონ მოპოვებულ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირთა წრე და მათზე წვდომის უფლება მიანიჭონ მხოლოდ ისეთ პირებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი საჭიროება;
- უზრუნველყონ მონაცემთა სათანადო უსაფრთხოება (მაგალითად, მონაცემების შემცველი ინფორმაცია განათავსონ დაცულ ადგილას, იზრუნონ მონაცემების მესამე პირისთვის გამჟღავნების პრევენციაზე და ა. შ.);
- თუ მონაცემების შეგროვება ხდება ამომრჩევლისაგან, ამომრჩეველს მიაწოდონ ინფორმაცია, რომ ნებაყოფლობითია მონაცემების მიწოდება;
- ამომრჩეველს მიაწოდონ ინფორმაცია ვინ და რა მიზნით ითხოვს და ამუშავებს მის მონაცემებს;
- ამომრჩევლის მოთხოვნის შემთხვევაში, აღარ დაამუშაონ მისი მონაცემები;
- საარჩევნო მიზნებისთვის მოპოვებული მონაცემები გამოიყენონ მხოლოდ ამ მიზნით და არა სხვა, შეუთავსებელი მიზნით.

რა წესები უნდა დაიცვან საარჩევნო სუბიექტებმა მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის ან/და აგიტაციის დროს?

საარჩევნო სუბიექტები აგიტაციის მიზნებისთვის ხშირად მიმართავენ ამომრჩევლებთან მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის ფორმას. როგორც წესი, ამ პროცესში მონაწილეობენ შუამავალი კომპანიებიც, რომლებიც ფლობენ სატელეფონო ნომრების ბაზას და აგზავნიან დამკვეთებისთვის სასურველი შინაარსის შეტყობინებებს.

მოკლე ტექსტური შეტყობინებების ამ ფორმით და მიზნით გაგზავნა კანონმდებლობით დაშვებულია, თუმცა, აუცილებელია:

- შეტყობინება შეიცავდეს მის შემდგომ მიღებაზე უარის თქმის მექანიზმს;
- ამომრჩეველს ჰქონდეს შეტყობინების შემდგომ მიღებაზე უარის გაცხადების შესაძლებლობა.

მოკლე ტექსტური შეტყობინების პარალელურად, ამომრჩეველთან კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულ ფოსტის მეშვეობით ან/და სატელეფონო (მათ შორის, ავტომატიზებული) ზარის განხორციელების გზით.

მნიშვნელოვანია!

მნიშნელოვანია, რომ საარჩევნო სუბიექტებმა მარკეტინგული მომსახურების, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა თუ სხვა ტიპის მომსახურების გაწევისათვის შეარჩიონ სათანადო რეპუტაციის მქონე ორგანიზაციები, გააფორმონ მათთან შესაბამისი კონფიდენციალობის შეთანხმებები და მონაცემთა დამუშავებისას გააკონტროლონ მათ მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა.

რა უფლებები აქვს ამომრჩეველს?

საარჩევნო სუბიექტები ხშირად მიმართავენ ამომრჩევლებთან უშუალო კონტაქტს, რომლის ფარგლებში მონაცემებს თავად ამომრჩევლებისგან აგროვებენ.

აგიტაციის დროს ამომრჩეველი არ არის ვალდებული გაამჟღავნოს მისი ვინაობა, სამუშაო ადგილი ან/და პოლიტიკური შეხედულება. ეს ამომრჩევლის უფლებაა!

საარჩევნო პროცესში ამომრჩეველს უფლება აქვს:

მონაცემის უშუალოდ მისგან მოპოვებისას, ნათლად და გასაგები ენით მიიღოს განმარტება:

- რომელი ორგანიზაცია აგროვებს მის მონაცემებს;
- რა მიზნით გამოიყენება ეს მონაცემები;
- სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემების მიწოდება;
- თუ მონაცემის მიწოდება სავალდებულოა, რა არის მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები.
- მოითხოვოს ინფორმაცია რომელი სამართლებრივი საფუძვლით მუშავდება მის შესახებ ინფორმაცია;
- მოითხოვოს ინფორმაცია რა გზით შეგროვდა მისი მონაცემები;
- მოითხოვოს ინფორმაცია გადაეცა თუ არა მისი მონაცემები მესამე პირებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში ვის გადაეცა, რა მიზნით და რა სამართლებრივი საფუძვლით;
- მოითხოვოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში (მაგალითად, საარჩევნო ადმინისტრაციაში) არსებული პერსონალური მონაცემების გაცნობა და მათი ასლები;
- მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა;
- უზრუნველყოფილი იყოს მისი მონაცემების სათანადო უსაფრთხოება;
- პერსონალური მონაცემების დარღვევით დამუშავებისას მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს.

ვის უნდა მიმართოთ კონსულტაციისთვის ან/და პერსონალური მონაცემების არაკანონიერად დამუშავების შემთხვევაში?

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მონიტორინგს უწევს ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას.

პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებზე კონსულტაციის მისაღებად ან/და პერსონალური მონაცემების კანონის შესაძლო დარღვევით დამუშავების ფაქტთან დაკავშირებით ამომრჩევლებმა, დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა, საარჩევნო სუბიექტებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა შეუძლიათ მომართონ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

მისამართი: ქ. თბილისი, ნ. ვაჩნაძის ქ. №7
ტელეფონი: 242 1000
ელ. ფოსტა: office@stateinspector.ge